აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №24

2015 წლის 07 აგვისტო

ქ. თბილისი

აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად

1. დამტკიცდეს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა თანდართული დანართის მიხედვით (დანართი თან ერთვის).

2. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 მაისის №16 განკარგულება „აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ”
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **სპარტაკ გურჩიანი**

დანართი

N	დასახელება	მისამართი	მონაცემები	შენიშვნა
1	ავტომანქანა მარკა- გაზ-52 ,	მდებარე ქ.ქუთაისი,	ძრავის მოცულობა-4,5; სახ.# FAB-731, ძრავი #147515, შასი#330470, გამოშვების წელი 1991,	მუშა მდგომარეობაში
2	ავტომანქანა მარკა-გაზ-3976011,	მდებარე ქ.თბილისი, ბაგები	ძრავის მოცულობა ,,,, სახ.#IOO-763, ძარა #0028510, ძრავი#1006247, შასი#-0797577, გამოშვების წელი 1999.	არამუშა მდგომარეობაში